



მიღებული განათლების აღიარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენასა და შესაბამისი კრედიტების აღიარებას უზრუნველყოფს კომისია, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
2. კომისია საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების და წინამდებარე წესის შესაბამისად.
3. კომისიის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლები, აგრეთვე იმ ფაკულტეტის წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისია სტუდენტის დატვირთვის გაანგარიშებას ახდენს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის მიხედვით.
2. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საიდანაც გადმოდის სტუდენტი, იყენებს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემისაგან განსხვავებულს, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს დოკუმენტი, რომელშიც განმარტებული იქნება ამ სისტემის შესაბამისობა ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან.



3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისიას აქვს უფლება სტუდენტს მოსთხოვოს ინფორმაცია სასწავლო კურსის ხანგრძლივობის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის საათობრივი დატვირთვის შესახებ.

მუხლი 3. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობისა და კრედიტების აღიარების წესი

1. უნივერსიტეტი ცნობს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ კვალიფიკაციებს.
2. უნივერსიტეტი უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დოკუმენტების აღიარებისას ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, აგრეთვე „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანებით.
3. უნივერსიტეტი აღიარებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მინიჭებულ კრედიტებს.
4. უნივერსიტეტი არ აღიარებს არაფორმალური გზით მიღებულ პროფესიულ განათლებას პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში.
5. უნივერსიტეტი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას ადგენს სტუდენტის მიერ ჩაბარებული კომპონენტების, სილაბუსების ან/და გამოცდის საფუძველზე. გამოცდა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ სილაბუსის ანალიზის საფუძველზე შეუძლებელია სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენა.



6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა ნაკლებია უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტებზე, კომისია შესაბამისობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო კურსის სილაბუსის ანალიზის საფუძველზე.

7. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას, კომისია იღებს აღიარების გადაწყვეტილებას.

მუხლი 4. კომისიის დასკვნა კრედიტების აღიარების შესახებ

კომისია ადგენს დასკვნას კრედიტების აღიარების შესახებ, რომელშიც მიეთითება განმცხადებლის სახელი და გვარი, კრედიტების მიმნიჭებელი (სწავლების განმახორციელებელი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ფაკულტეტის დასახელება, საგანმანათლებლო პროგრამა (სპეციალობა), უნივერსიტეტის ფაკულტეტის დასახელება, რომელიც ახდენს კრედიტების აღიარებას, თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, აგრეთვე დეტალური ინფორმაცია უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესწავლილი, პროგრამულად თავსებადი სასწავლო კურსების, კრედიტების, უნივერსიტეტის კურიკულუმით გათვალისწინებული, პროგრამულად თავსებადი სასწავლო კურსებისა და აღიარებული კრედიტების შესახებ.



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

მუხლი 5. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია რექტორთან.
2. საჩივრის წარმდგენი პირი ვალდებულია საჩივარში მიუთითოს, მოთხოვნა და გარემოებანი რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა.